ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს რიგგარეშე მე-13 სხდომის

დღის წესრიგის პროექტი

სხდომის მოწვევის თარიღი: 2024წლის 15 აპრილი

სხდომის ჩატარების დრო:14:00საათი

სხდომის ჩატარების ადგილი: ქუთაისი

რუსთაველის გამზირი #3

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის № 79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩის №31-სა და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საინფორმაციო ბარათი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე მე-13 სხდომის დღის წესრიგის პროექტით

განსაზღვრული საკითხების შესახებ

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის № 79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემდეგი ცვლილების განხორციელება: საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ, ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე დარჩენილი ნაშთიდან 1400,0 ათასი ლარი გადანაწილდა შესაბამის პროგრამულ კოდებზე. ბიუჯეტში აისახა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 და N2402 განკარგულებებში შეტანილი ცვლილებები და ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე გადანაწილდა 5559,4 ათასი ლარი, ამასთან განხორციელდა პროგრამულ კოდებსა და ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება. შემოსულობებისა და ხარჯების გეგმა გაიზარდა 6959,9 ათასი ლარით. მე-2 ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 133373,3 ათას ლარს.

HTTP://KUTAISI.GOV.GE/PUBLIC/FILES/1712583372_BIUJETI.PDF

2. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩის №31-სა და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დაგეგმილი ცვლილების მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციით რეკომენდირებულ სარეკრეაციო ზონაში ცვლილების შეტანა. ტერიტორიის შემდგომი განვითარების მიზნით მოეწყოს ისეთი სახის ინფრასტრუქტურა რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

HTTP://KUTAISI.GOV.GE/PUBLIC/FILES/1712833789_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98.PDF